

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

ერთი წლის	— 6 მან.	კაპ.	2 მან.	კაპ.
ნახევრის წლის	— 3 „	„	1 „	„
სამი თვის	— 1 „	„	75 „	50 „
ერთი თვის	— „	„	60 „	50 „
ცალკე ნომრის	— „	„	„	„

გ ა ნ ც ხ ა დ ე პ ა ე ბ ი, «დროება» დას-  
ბეჭდით, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფ ა ს ი  
განსჯების: ჩვეულებრივი ასაკით სტრი-  
ქონზე 8 კაპ. და ასობითაჟულებით—ას-  
ზე 1/2 კაპ.

# დროება

1872

## ს ა ნ ო ლ ი ტ ი კ ო დ ა ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ ა ზ ე თ ი

ქ ა ლ ი წ ა დ ი მ ე მ ვ ი ა დ ე უ

ს ე ლ ი მ ო წ ე რ ე რ ე ნ უ ლ ი  
მიიღება თ ფ ი ლ ი ს ო ბ ე რ ე მ ო დ ე რ ე  
დაქვის კანტონში (გ. წერეთლისტამბაში სა-  
ტიფის ხანგაში).  
ქუთაისში: გურასიძე ქ ა ლ ა ს დ ა რ ო შ ე ი-  
ლ თ ა ს (სახ. ხაზზე.)  
გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნ-  
და გამოგზავნიან მოთხოვნა: *Въ Тиф-  
лицъ Въ контору редакціи газеты «ВРЕ-  
МЯ» при типографіи Г. Церетели.*

გამოდის კვირასი ერთხელ, ზარასკობით.

ს ა მ დ ა მ დ ე გ ს 1 8 7 2 წ ე ლ ს

« დ რ ო ე ბ ა »

გამოვა თავის ძველებური პროგრამის—და შეუცვლილად.  
ამ წლიდან მოყოლი წლის «დროებას» ფასი, შვიდი მანეთის მაგივრათ,  
ექვსი მანეთი იქნება.

პირველი ინვერიდგან «დროებას» ხელის-მოწერა მიიღება:  
თფილისში—დროების რედაქციის კანტონში, გ. წერეთლის და  
ამხ. სტამბაში, სერგოების ქუჩაზე, ხატისოვის სახლებში, და  
ქუთაისში—გერასიმე ქალაქის დარბაზის ოთახში (სახელწოდება).  
თფილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა, ამ წლიდან, გაზეთი «დროება»  
შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлицъ. Въ контору редакціи грузинской газеты  
«ВРЕМЯ», при типографіи Г. Церетели и к. (бывшей Дубелира).*

ს ე ლ - მ ა ს ა წ ე რ ი ფ ა ს ი

ერთი წლის	— 6 მან.	კაპ.	2 მან.	კაპ.
ნახევრის წლის	— 3 „	„	1 „	„
სამი თვის	— 1 „	„	75 „	50 „
ერთი თვის	— „	„	60 „	50 „

« დ რ ო ე ბ ა ს » რ ე დ ა კ ტ ი ა ს ი ს ა ნ

ამ დამდეგ წელს არც გაზეთის ზრატანამში და არც ამ ზრატანამის აღსრულებასში  
თითქმის არავითარი ცვლილების მოხდენას არ დაელოდებოდა «დროების» რედაქცია თავის  
ქვათხველებს. როგორც წარსულ წლებში, მომავალშიც, რაც დონე და ძალა ექნება და  
რამდენადაც იმხანაგან დამოუკიდებელი მიწების არ დაუშვან, ის ენდება მკითხველების  
ყურადღება ისეთ საგნებს მიმართ, რომელნიც დაინახა ანაზნ ჩვენი ყურადღების და რ-  
ძელსეადც გაზეთში მოლაპარაკება შესაძლებელი იქნება... ყოველი საღებავი, რომელიც  
ნახსენებულს იხილოს, რომ ხანაგან ცნობების სახანძრის საკითხავი წარუდ-  
გინოს მკითხველ სასოგადოებას; განსაკუთრებით ჩვენი სასოგადოებისთვის, რომელიც  
კურთხევის არ არის შეწყვეტილი, აუწყებელად საჭიროა ხანაგან, ადვილი და მიმ-  
დელი საკითხავი საგნები. ამიტომ «დროებას» რედაქცია ფელტონს და დიკტანტურულ  
ქმნილებებს უკრავს ყურადღებას მიაქცევს.

მ ი ნ ა ს ა ნ ს ა :

«დროების» რედაქციისაგან. — «კრებულის»  
რედაქციისაგან. — საქართველო: წერილი ამ-  
ბები. — სიდალიდამ («დროებას» კორესპონ-  
დენცია). — რუსეთი: წერილი ამბები. — უცხო  
ქვეყნები: შარხან და შარხანის. — საფრანგე-  
თი, — გერმანია, — ავსტრია. — ნარკვევა.

პირველი ნომრის დაგვიანებისათვის ბოდიშს  
ვიხდით მკითხველებთან. ამ დაგვიანების  
მიზეზი ერთი მხრით წასრული ბედნიერი  
დღეები იყო და მეორეს მხრით ის გარემო-  
ება, რომ გაზეთის ბეჭდვა ახალს სტამბაში  
დაიწყო; ამას გარდა ცოტადენი ახალი  
სათაურის ამოკრამაც დაევაგვიანა.

წლებიდან წლიდან «დროება» იბეჭ-  
დება, წერეთლის (დუბელირის) და ამხ. სტამბა-  
ში. გაზეთის რედაქციის კანტონი იქ აქნება,  
და ამის გამო ეისაც რედაქციისთან საქმე  
ექნება, ვინავეთ იქ მიმართოს (სერგოების  
ქუჩაზე, ხატისოვის სახლებში). ქალაქს გარე-  
შე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა მიმარ-  
თონ «დროების» რედაქცია: *Въ Тиф-  
лицъ, Въ контору редакціи газеты «ВРЕ-  
МЯ», при типографіи Г. Церетели и к.  
(бывшей Дубелира).*

ზოგიერთი ხელის-მომწერლები, ექვსი გა-  
ზეთის მაგივრათ, წელსაც ადრედელ გაზე-  
თის ფასს, ე. ი. შვიდ მანეთს, გზავნიან.  
უმორჩილესად ესთხოვთ ჩვენ მომავალ ხე-  
ლის-მომწერლებს მიიღონ შედეგობაში,  
რომ წლებიდან წლიდან «დროებას» ექვს  
მანეთად ღირს და არა შვიდათ. ვინც უკ-  
ვე გამოგზავნა შვიდი მანეთი, იმათ გარდა-  
მეტყულებ ერთ მანეთს ან მომავალი წლის  
გაზეთის ფასში უნდაგარიშებთ და ან უკან  
დაუბრუნებთ როგორც თვითონ ამ წელის  
პატრონები ისურვებენ.

ერთი თვლის გადაღებით შეინიშნავს მკ-  
ითხველი, რომ ეს ნომერი გარეგანი შეხედუ-  
ლობით განიხივება ძველი «დროების» ნომ-  
რებიდან. მოკლე ხანში დუბელირის სტამბა  
ახალი ხასიათის ასობებს მოვლის და მაშინ  
რედაქციის ექნება საშუალება გააუმჯობესოს  
გაზეთის გარეგანი შეხედულობა.

«კრებულის» რედაქციისაგან.

«კრებულის» მეექვსე და მეშვიდე წიგნი ამ  
მოკლე ხანში გამოვა და ხელის მომწერლებს  
დაურიგდება. დანახინი შარხანდელი წლის

ხუთი წიგნი ამ წლის პირველ თვეებში გა-  
მოვა.

სანამ შარხანდელი ხელის-მომწერლები არ  
იქნებიან სრულიად დაკმაყოფილებულნი (12  
წიგნით), მანამ, სხვა და სხვა მიზეზების გამო-  
«კრებულზე» ახალი ხელის-მოწერა აღარ მიი-  
ღება. ამის გამო რედაქცია უმორჩილესად  
სთხოვს «კრებულის» დაბრების მსურველებს,  
დრომდღე ნუ გამოგზავნიან დამდეგი წლის  
ფულებს ნურც «კრებულისა» და ნურც «დრო-  
ების» რედაქციაში. ვინც დღემდე გამოგზავ-  
ნა ამ ჟურნალის ფულები და ან შემდეგში  
გამოგზავნის, იმათ ეს ფულები უკანვე და-  
უბრუნდება.

ს ა ქ ა რ თ ა ვ ე ლ ო

შარხანდელი წლის «დროების» მე-16-ნო-  
მერში მოხსენებული იყო, რომ ღუშეთში  
საგლეხო ბანკის გამართვას აპირებდნო. ეს  
საქმე ითავა ღუშეთის უფლის მმართველმა,  
უფ. ზუბალოვმა, რომლისთვისაც დიდი მა-  
დლობისა და თანაგრძობის ღირსია. ღუშე-  
თის საგლეხო ბანკი უნდა შესდგეს იმ ფუ-  
ლებით, რომელიც გლეხებს ერგებოდათ ხა-  
ზინიდან ჯარებისთვის შენის ბეგარაში. უფ.  
ზუბალოვის რჩევით, გლეხებმა არ აიღეს ეს  
ფულები (წელიწადში 18 მან.) და სამი  
წლის ხვედრი ფული სულ 2058 მან, ბანკის  
დასაარსებლად გადადეს. შემონათქვამ შენი-  
შენში ამას გარდა მოხსენებული იყო, რომ  
უფ. ღუშეთის უფლის მმართველი, თფილისის  
ლუბერნატორის წინადადებით, ბანკის პროექტს  
ადგენსო და მზათ იქნება თუ არა ეს  
პროექტი. საქვეყნოთ გამოაცხადებსო. ახლა უფ.  
ზუბალოვმა გაცნობა ჩვენ, რომ პროექტი  
მზათ არისო და კიდევ წარუდგინე თფილი-

ფ ე ლ ტ ო ნ ი

ს ე ლ - ს ე ლ ო ა მ ბ ე ბ ი

(სახლ-წლის შუალაქი)

შუალაქს ბევრი აღარ აკლდარა. გულ-  
სისხლ—დანთხული და ფიქრებს აღდევნუ-  
ლი ბუხრის წინ ეიჯექი და ეფლელი ოც-  
ნებებს; სხვა და სხვა სურათები, ჩემის წარ-  
სულის ცხოვრებლად, გულსაკლავად მე-  
ხატებოდენ თვალთ-წინ, მაგრამ არცერთხედ  
კი იხე არ გაჩერებულა ჩემი ჰაზრი და გო-  
ნება, როგორც ერთხედ: ეს იყო ჩემი გუ-  
ლის ფიცარი!... გულს-მოდგინეთ დეუწყე  
თვლიერება, მსურდა შემეტყო, იყო რამე  
სასიამოვნო მთელის წლის განმავლობაში  
მახედ დაწერილი, თუ არა?... ნების კურწის  
ოდნა ადგილიც ვერ ვიპოვე, რომ ეკლით არ  
ყოფილიყოს ნახველდები!... მაგრამ მთელ-გუ-  
ლის ფიცარხედ კი მაინც რაღაც ვეპარინად  
იყო დაბეჭდილი; ამოვიკითხე და აი რა გა-  
მოდგა: შუა-გულხედ ეწერა დიდის ასობით:  
«ი მ ე დ ი», მარჯვენა კუთხით: «გ ა მ ა რ ჯ ო -

ბ ა შ რ ო მ ა ს», მარცხნივ: «ქ ე ბ ა გ ა მ-  
ბ ე დ ა ო ბ ა ს», ზევით: «ს ა ზ ო გ ა დ ო დ  
ე რ თ ი ყ ე ე ლ ა ს ა თ ე ი ს» და ქვეით: «დ ი-  
დ ე ბ ა მ ო თ მ ი ნ ე ბ ა ს»... უეცრად გვერდ-  
ში ამოიღდა ყმაწვილი და შემეტყუა: «მამა,  
დრო არის წერა-კითხვა ვისწავლო და გამო-  
კვეთე ანბანი, რომ ყველაზედ უმაღლ ეგ ნა-  
წერი ამოვიკითხო და ჩემს გულის ფიცარ-  
ხედაც გადავიხატო...» კიდევ დაიწყო  
ტიკ-ტიკი, მაგრამ, სანამ გაათავებდა, უეცრად  
თოფის ხმა მომესმა, რომელმაც გამომიყე-  
ნა ოცნებები... შეიქნა ნამდვილი თოფის  
სროლა; ეს იყო შალღული, რომლითაც ხალ-  
ხი ჩვეულებისამებრ მიეგებებოდა ახალ წელს  
და ისტუმრებდა ყველასაგან მომულებულს  
ძველ-წელიწადს!... მეც, სრულიად გამოფხი-  
ზლებულმან, აღარ დავაღვე ჩვენებური ჩვე-  
ულება, ერთი მეც ვესროლე ძველ წელი-  
წადს და შევუდექი «იმერლის» კეთებას!...  
აქ სხვა რამ არ იფიქროთ: «იმერელს» მე გო-  
ზინაყ ვეძახი. მართლაც დიდი მზავსება  
აქვსთ ზნეობითად ერთმანერთში: იმერ-  
ელიც გოზინაყით ტყბილია პირში და, რო-  
ცა მოგზორდება ზურგს უკან, მწარეა. ისიც

ისე გიძვრება პირში, თავს-გაყვარებს, კბილებს  
გაკრავს, გველებს, უზომოთ განარჯებს თავს  
და ბოლოს კი დავამწარებს: კბილებს გატ-  
კენს და ან მუცელზედ გაგბერავს!...  
ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც წამოდუ-  
ლებულმა თაფლმა ქაფი მოიღო; ქაფს მოხ-  
და დაუწყე და თანაც ვფიქრობდი: რომ იმე-  
რეთიც ასე მოიქაფოს, არას აწყენს მფიქრი! თი-  
თქო ეს ჩემი ჰაზრი გამოვიცნო თაფლმა, უე-  
ცრათ თითქმის სულ ქაფათ გადაიქცა, ასე  
რომ წმინდა თაფლი ბევრი აღარა დარჩა  
და რაც დარჩა, უეცრად ისიც ნაცარში ჩა-  
მედღარა. მომივიდა გული,  
... და ჩემვექი საწოლში და ე-  
თარცა სტუდ... ვითარცა... ვითარცა... წვე-  
როს... ვითარცა... ვითარცა... ქვეყნის-მე-  
შას დაძინება არ გამჭირვებია და თანაც სი-  
ზმარი ვიძილის-მოზისე: ენაზე დიდებული  
დარბაზი განათლებული და მდიდრად შემკუ-  
ლი, შუახედ ოქროს ტახტით; ერთი აღმო-  
სავლეთისაკენ ჰქონდა კარები და მეორე და-  
სავლეთისაკენ. აღმოსავლეთით მოისმა საამო  
ხმა სხვა და სხვა საკრავებისა, გაილო კარ-  
ები და მრავლის ხლებულებით დედოფლუ-

რად, მომცინარის სახით შემობრძანდა ახა-  
ლი წელიწადი. მანტი-მოსილი და თავ-გირ-  
გინიანი სტუმარი ძალიან ჰგავდა ჩემს სა-  
ტროფს. კეკლუსად შემბრძანდა ტახტზედ და  
გარს შამოხვიენ მას სხვა და სხვა ტომის  
კაცები. ამავე დროს დასავლეთით მოისმა  
გახურვებული ბრანწის ტაკ-ტაკუტი. გაილო  
კარები და ერთ დედაბერმა შემოპყოთავი. ტა-  
ლახით გალაფული, გარყვნილების ბეჭდით  
სახეზედ, თმა გაწეწილი და ზურგზედ გულა  
მოკიდებული, — ის ყო ძველი წელიწადი. თა-  
ყვანი სცა ახალ-წელიწადს და რა შეატყო,  
რომ ახალმა წელიწადმა ზიზლით შეხედა მას,  
საზარელის ღმილით უთხრა: «ლამაზო ქალ-  
ბატონო! მეც შენისთანა ვიყავი შარხან ამა  
დროს, მაგრამ ვერა მხედავ, დღეს რა ვარ? ილა-  
დვ. რომ შენც ჩემი ხვედრი მოგვლის!...  
ისეთს ქვეყანაში შედიხარ, რომელშიაც...  
სიფრთხილე გმართებს. უმჯობესია ახლავ  
გამოვიკითხო და გვიგო იმათი აღიან-ჩალიანი  
და ხამათ არ შეხედვ. მე შემოძლია რამოდ-  
ენიმე ცნობა მოგცე!...» ამ სიტყვებმა ცოტა  
არ იყოს ჩაფიქრა ახალი-წელიწადი და მაშინ  
კი უთხრა დედაბერს: «შენ, დედა ჩემო, კენ-



სის ლებერნატორს დასამტკიცებელათაო.

\*\*\*

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ მოკლე ხანში ფოთში ორი უბედურება მოხდა: ერთი, რომ ცეცხლი გაჩენილა და რამდენიმე საქონლის შესანახი ქარავალი გადამწვრა. მეორე, იქ მოუკლავთ ერთი ინგლისელი სენსორი და გაუცარცვავთ. ჩვენ გავიგეთ, რომ სენსორის თანამგზავი ინგლისელებს ათასი თუმანი გამოუღიათ და ჯილდოთ აძლევდნენ იმას, ვინც ამ კაცის მკვლელს გამოაჩენსო.

\*\*\*

ამჟამად თფილისში კავკასიის გიმნაზიების დირექტორები არიან თავმოყრილი და სხვა და სხვა საგნებს ხაზს უსვამენ. ჩვენ გავიგონებთ, რომ სხვათა შორის იმათ ქუთაისის გიმნაზიის თაობაზე აქვე მოლაპარაკება—რეალურ თუ კლასიკურ გიმნაზიათ უნდა გადავკეთოთ ქუთაისის გიმნაზია, თუ ისევ ეხლანდელ მდგომარეობაში უნდა დარჩეს? ამას გარდა ამობუნ, დირექტორებს ადგილობრივ (ქართულს და სომხურს) ენებზედაც აქვე მოლაპარაკებო. ვეცდებით, შევატყუებინათ მკითხველს—როგორ დააბოლოებდნენ უფ. დირექტორები ამ ძლიერ საინტერესო საგნებზე სჯას.

\*\*\*

ზადგანაც ყვირილიდამ ფოთში რკინის გზა გაიხსნა, ამის გამო დეკემბრის 15-დამ ორპირის ფოჩტის სტანცია დაიხურა და მის ნაცვლად ახალ-სენაკში და სამტრედიოში გაიხსნა სტანციები.

\*\*\*

იანვრის 8-ს თფილისის სამოსამართლო პალატაში სხვათა შორის განიხილეს საქმე თ. მიხაილ ერის თვის მოკვლის თაობაზე. სამოსამართლო პალატამ გამართლა ორი დამნაშავე: ეფრემ ჩხიკვიშვილი და ლუარსაბ ჩანთაძე, რომელთაც აბრალებდნენ, რომ იცოდნენ, რომ თ. მ. ერისთავს ჰყავდნენ და არ დაიცვეს ისაო და რომელთაც ამისათვის ქუთაისის ოლქის სასამართლომ ყოველი ღირსების ჩამოხდა და კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტა.

\*\*\*

გაზეთებში წაეკითხეთ და ნამდვილი ემბერც მოგივიდა პეტერბურლიდან, რომ პეტერბურლის უნივერსიტეტში ქართული ენის პროფესორის უფალი დავით ჩუბინოვის ნაცვლად დაუნიშნავთ უფალი ცაგარელი პრი-

ტი წელიწადი იყავ და ბედი არა გქონდა; მე კი ლუწი ვარ, ბედნიერი, და მასთანაც მომხმარებ ხალხიც თან მახლავს. იმათის წყალობით ავს ავთ მოვეციდები და კარგს კარგად. ჯერ ეს მითხარი—უბრველესი საქირობა, განათლება, როგორ მიღის—კარგათ? «თითო ღერი სანთელი ყოველ ოჯახში იწის, თუ არ მეტი, და სადაც სანთელი არ არის, იქ ცეცხლს ანთებენ; მართალია შემა კი გაძვირდა, მაგრამ ახლა ტყუილის ნახშირის იმედი აქვსთ ჰკუიანებს.» მოუგო ძველმა წელიწადმა.

— არა, მაგას არა გკითხავ: მე გკითხავ გონების განათლებაზე!

— მაგისი კი რა მოგახსენო!

ამის მომხმენმა ახალმა წელიწადმა გამოიხმო ერთი თავის მსლებელი წითელი კაცი, რომელსაც «ხურება» ერქვა და იმას მიანდო რალაც საქმე და შემდეგ ისე განაგძო:

— რა უფრო ბევრი დაითესა შარშან და რა უფრო მოიმეო?

— ქვირე-ობოლო-ობრის ცრემლები, და მოიმეო ადვოკატობა, ის ადვოკატობა, რო-

ვაც დოცენტათ). მეტი არ იქნება, რომ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ამ საგანზე. როგორც გავიგონებთ, უფ. ცაგარელმა კარგათ იცის თურმე ქართული ენა და ისტორია და მასთანადე შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ სასარგებლო კაცი იქნება თავის სამშობლო ენისათვის. იმედი გვაქვს, რომ ქართული ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის აუდიტორია ისე ცარიელი აღარ იქნება, როგორც დღეის აქამოდე იყო. უფალმა ჩუბინოვმა, მართალია, მოუტანა სარგებლობა ჩვენს ენასა, თავისი «ქართულ—ფრანკულ—რუსული» და «რუსულ—ქართული» ლექსიკონებით, «ქართლის ცხოვრების» მეორე ტომის გამოცემითა, «გრამმატიკით» და «ქრისტომატიით», მაგრამ ეს შრომა ამდენს ხანს ძალიან ცოტა შრომა იყო, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდა უფ. ჩუბინოვი, განსაკუთრებით ლონის-ძიების მოპოების მხრით. ყველამ იცის, რა შრომები ხალხიც გამოდის ევროპის პროფესორებში და რამდენს საუნჯესა სძლენინ ისინი მეცნიერებასა და ცხოვრებასა. ზოგიერთი პროფესორი სამოთხ წელიწადში იმდენს შრომობს ხოლმე, რომ მრავალს ახალს ცვლილებას შეიტანს თავის ლექსიკონშიც, ლიტერატურაშიც და თვით სტუდენტების ცხოვრებაშიც. საუბედუროთ, ეს ასე არ იყო უფ. ჩუბინოვის დროს. ევროპულ ფილოლოგიურს მეცნიერებას ანუ ისტორიას, ანუ ლიტერატურას იმან თითქმის სრულებით არა შესძინარა. ნამდვილი მსწავლელისათვის ყოველად შესაძლებელი კი იყო, რომ ქართული ენის ცოდნის ინტერესი აღეძრა ევროპულ განათლებულ საზოგადოებაში. ამასთან თვით სტუდენტობაში სრულიადაც ვერ აღძრა ქართული ენისა და ისტორიის ინტერესი. უკანასკნელად, ჩვენს ლიტერატურასა, შემოხსენებულ წიგნებს გარდა, არა შეკმატარა უბრალო ძველი მწერლების სრულად გამოცემა რა არის, ისიც კი არ იტყვირთა, რომ შთამომავლობისთვის მაინცა გავადილებინა საისტორიო და სალიტერატურო უბრალო მასალების შემზადება, თუმცა ამისთვის იმას ლონის-ძიება თითქმის ყოველთვის მზათ ექნებოდა. ამას გარდა უბრალო სტატიით, უბრალო რჩევით არც კი შესწევ-

\*) შრიგატ-დოცენტი იმ გვარი მსწავლეულია უნივერსიტეტისა, რომელსაც მარტო კანდიდატობის ხარისხი აქვს და განსწავლული ვაჰაგირი არ ექვდა. შრომის სიძლიერის განსაკუთრებული მაჩვენებელი და დოქტორის ხარისხის საჭირო.

ნია ჩვენს საცოდავ პერიოდიკულ გამოცემებს. გავიგეთ, რომ უფ. ჩუბინოვი აქ ჩამოსვლას აპირებსო. იქნება ეხლა აპირებდეს აქ თასუფლათ შრომასა ქართულის ლიტერატურისათვის. პირველ თანაგრძობას ჩვენ განუცხადებდით იმას მაშინ; მაგრამ აქწარსულზე ვლაპარაკობთ და არა მომავალზე.

ვისურვებთ ქართულის კათედრის დამკვირისათვის, რომ ყოველთვის იყოს ცხოველი კაცი ცხოველის გულით იმისთანა მალას აღვილს, ცხოველის მეცნიერების მოყვარე, და შემაერთებელი და შემრიგებელი ქართულს ენასთან სამართლიანათ გამწყარლის სტუდენტებისა.

\*\*\*

სხვა გამოცემებთ შორის წლიწადელი წლიწად დაიწყება თფილისში ერთი ახალი სამეცნიერო გამოცემა, სახელათ «ცნობანი კავკასიის განყოფილების სამმართველო საზოგადოებისა.» ამ «ცნობების» დაწინაურება ის იქნება, რომ ბევრს ყოველნაირი გეოგრაფიული ცნობა კავკასიაზე, როგორც თვითონ საზოგადოების წევრებისა, აგრეთვე გარეშე პირებისაც. «ცნობების» პროგრამაში არის მოხსენებული კავკასიის გეოგრაფიის გარდა, სტატისტიკა, ეტნოგრაფია, წარმოება, ბიბლიოგრაფია და სხვა ცნობები, რომელნიც კავკასიის მიწების გაცნობას და ეხმარებიან. «ცნობები» ცალკე ნომრებით გამოვა; თითო ნომერი ორ ბეჭდის თაბანზე ნაქლები არ იქნება; რამდენიმე ნომერი ერთ ტომში შეადგენს, რომელიც მანეთად ეღირება. ხელის-მოწერა შეიძლება უფ. კავალენსკისთან, რომელიც ამ გამოცემის რედაქტორია და თვითონ საზოგადოების სეკრეტარი.

\*\*\*

გაზეთს «კავკაზში» სწერენ, რომ თ. გრ. ორბელიანის ლექსების კრება იბეჭდება და მალე გამოიცემა. ჩვენ ვიცით, რომ ერთ დროს მართალია, იბეჭდებოდა თ. გრ. ორბელიანის ლექსები და ცალკე წიგნათ უნდა გამოსულიყო, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო მაშინ ამ წიგნის ბეჭდვა შეჩერდა. ახლა ერთი პირი ხელახლავ შეუდგა ამ საქმეს; მაგრამ ეს მშენებელი ლექსები «ამ დღეებში» ვერ გამოვა, როგორც «კავკაზი» ამბობს.

\*\*\*

აი სხვათა შორის რას იწერება ბათუმის მცხოვრებლებზე «კავკაზის» კორრესპონდენტი: «აქაური ხალხი ძალიან მხნე ხალხია, მაგრამ ამასთანავე შურის-მგებელიც. ხასია-

თიც, ჩვეულებით და ტანსაცმელით მსგავსი ქეზებს და ქართველებს ჰგავს. ბათუმელები ქართულათ ლაპარაკობენ, თათრული იმათ თითქმის სულ არ ესმისთ. ამჟამად აქ ძალიან ბევრი ჩერქეზები არიან გადმოსახლებულნი და აქაურები ძალიან ემდურებიან იმათ, რადგან, გაჭირვების გამო, ისინი მუდამ ტაციობენ და არ ასვენებენ ბათუმელებსა. მართლმადიდებელნი ძალიან ცოტანი დარჩენილან აქ და ვინც არიან, ისინიც ძალიან შევიწროებულნი არიან ოსმალებისაგან.»

\*\*\*

სოფელი ნ ა ფ ა რ ა ხ ე ე ი დ ა მ, რომელიც გურიაშია, ჩვენი კორრესპონდენტი შემდეგ სასიამოვნო ამბავს გვწერს:

«ამ ღარიბი სოფლის საზოგადოება შესანიშნავია თავის მეცადინეობით და მღვიძარობით განათლების შესახებ: დიდი ხანი არ არის, რაც ამ სოფლის მცხოვრებლებმა შეკოლა გახსნეს თავის ხარჯით და მასწავლებელი დაიჭირეს, რომელიც იმავე დროს სოფლის სამმართველოში მწერლის თანამდებობასაც ასრულებს. ამ მიყრუებული სოფლის მცხოვრებლებმა გაიგეს, რომ განათლება ძალა არის და სტდილობენ, იმათმა შეილებმა მაინც ისწავლონ რამე. მაგრამ ამ პაწაწინა გურულებს წახალისება და სწავლის სარგებლობის განმარტება არა სჭირათა: გაგივირდებათ, რომ ნახოთ, როგორის სიხალისით მოდიან აქაურ შეკოლაში, ხშირათ ორი და სამი ევროსის სიმორიდამ, თითქმის ტიტყულა და ფეხშიშველა სოფლის პატარა ბიჭები და როგორის სიხალისით და ნიჭიერებით სწავლობენ ისინი.»

**ს ი ღ ნ ა დ ი დ გ ა ნ**  
(«დროების» კორრესპონდენტი).

ამ წლის «დროების» ნომრებში იყო დაბეჭდილი რამდენიმე კორრესპონდენციები სიღნაღიდან, სადაც აღწერილი იყო ხასიათი სიღნაღელთ მოკავშირეთა. უფრო უკუვადი—თუ რა შედომქმედება ექნებოდა აქაურ საზოგადოებაზე იმ კორრესპონდენციებსა და ასლამ სავსე მისდა ორიოდე სიტყვა მოგწერათ. ზოგაერთები, რომლებსაც წაყითხათ ის კორრესპონდენციები, ამბობდნენ, ვითომც იმ კორრესპონდენციებში ზოგი ტყუილია და მომეტყუელიც იყო ნათქვამი; მაგრამ, ჩემი ჰასარით, იმ კორრესპონდენციებში არა თუ ტყუილი და მეტი არ იყო ნათქვამი, არამედ ნახევარის სხევერად იმათი ქტევისა . . . . . არ იყო მოხსენებული.

მელიც ამ ქვეყანაში ძალიან ნაქები არის.

— კიდევ აპირობენ ადვოკატობას წლებულაც, თუ არა?

— უფროც.

— მაშ, ჩემო ერთგულიო! (მიუბრუნდა შუკანს, . . . რომელსაც რადაც ვერა ჩაუჭურწულა).

შემა კაცმა თავი დაუკრა და მოახსენა: «ბავს უსტაო!»—და გაიღიმა...

— ხალხი გახსნილი არისო! იკითხა კიდევ ახალმა წელიწადმა.

— როდესაც ძინავს, საზოგადოთ ყველა გახსნილია და კერძოთ კი როცა სამხარს სკამენ ხოლმეო! მიუგო.

— ქალები უფრო გახსნილი არიან, თუ კაცებიო?

— ქალები, ქალები... და ამიტომაც არაფერს აკეთებენო.

— მაშ კარგო, უბრძანა ერთს ყვითელს კაცს, . . . და ისევ მიუბრუნდა ბებერს:

— ახალგაზღობა რას შერება?

— არაფერს: ენა ექაება და წვერებზედ ხელს ისავს. ბევრი უნდა ვაკეთოს, მაგრამ

ვერ ბედავს, საზოგადოებას ემონება...

— მაშ მათი აზრი რა არის?

— პერანგი. . . . .

— როგორ თუ პერანგი?

— დიან, როდესაც პერანგს გამოიცვლიან, მაშინ ჰაზრსაც იცვლიან ხოლმე.

— მწიგნობრობა მათი რას ამბობს? ხმას არ იღებს?

— როგორ არა, გამოდიან, იბეჭდებიან გაზეთები და ჟურნალები, მაგრამ მკითხველები ცოტა ჰყავთ, რადგანაც ქართული კითხვა ყველას ეზარება!

— მაშ კარგი: მობრძანდით აქ თქვენ, უთხრა ერთს გამხდარს და საშიშარს კაცს. უ. ქლერქო! ვინც წელს ქართული გაზეთები და ჟურნალები არ გამოიწეროს, ის შენთვის ჩამიპარებია!

— ახლა ისიც მიბრძანეთ, ჩემო დედილო, ეგ ხომ საზოგადო იყო, ახლა კერძობითი ცოდვები ვის რა ჩაუდენია, ისიც მომიყვი.

— ეგ შორის წავა, ჩემო შეილო, მაგრამ ამ გულში ყველას ცოდვის დაფრები მაქვს: ჩემ ხელში ვის რა ცული უქნია, ყველა ჩაწერილია, ეს წაიღე...

იამა ახალ წელიწადს, ჩამოართვა დაეთრები და უბრძანა მის მსლებლებს: წაიღეთ ეს დაეთარი და ჩაბარეთ აკაცი წერეთელს, რომ ყოველ კვირაში თითო თავი ამ დაეთარისა «ცხელ-ცხელ ამ ბებეში» გამოუთროს ხოლმეო და თუ არ აასრულოს, სასიკვდილოთ ნუ გამოიმეტებთ და ისე კი შეფრთხეთ ხოლმეო!

— რომ . . . ნება არ მიეცესო? ჰკითხა გამოცდილმა ძველმა წელიწადმა.

— მაშინ კი რალა გაეწყობა! იმას თავი დაანებეთ და ყველამ . . . —ს დაუკართ თავიო...

აქ მე გამომეღვიძა და ენახე, რომ დაეთარი მართლა ხელში მეჭირა და ნურას უკაცრავათ, ბატონებო, თუ წლებულ ჩემმა «ცხელ-ცხელ მა ამ ბებემა» შეხატროს ვინმე. ჩემი ბრალი არ იქნება: — ძალა აღმართს ხნავსო, მოგვხსენებათ.

დასამტკიცებლად ამ ჰაზრისა, მე არა მავს სჯობილად, რომ ჩამოვთვალო—თუ ამა და ამ გლეხ-კაცს, ამა და ამ სოფელში, ამა და ამ სოფელში, ან მოვკრებ, ესა და ეს საქმე უფო. რაც ამ გვარი ქვეყანა აჭურვი მოკვარე კაცისა მე ვიცი სწავლ გლეხ-კაცთან, ის რომ აიწროს, არამც თუ თქვენს «დროებაში» არამედ «ცაიშისა» არ დავტყუებ, იმ ღონისძიანის «ცაიშისა», რომელიც წინადაც დღე გამოდის და იმოდენს თანახმად აქვს, რომ ჩვენ დუქნის დარაბებს ჩამოსწავს. თითონ სიღნაღელი მოკვარეები არა მალევე თავიანთ ქვეყანს. როდესაც ცემოსსუნეპული კორკესპონდენტები იკითხებოდნ სიღნაღის მეოღანზე, მაშინ ბუგნი იმათგანსამოხდენს: არა არის ჩვენს ქვეყანა ურიგო? . . . ფუფუნს გაძღვეთ, სარგებელს ვიღებთო! ერთმა იმათგანსამოხდენს თქვა: «ძალით ვერ მომაშლევენებენ მე ჩემ ქვეყანს, და წერით რა უნდა მიუხონ?» და ამას ზედ დაართო შემდეგში ასევედრით: «იუ რუსალიმად ჩვენ ხელდასრ მიერთი დინარქი მოვიდა და სსოგადოდ ცუდით კითხულობდა წიგნებს; როდესაც ჩვენ უთხარით: კანა იერუსალიმის დინარქი კერე ცუდით უნდა იკითხოსო, მაშინ იმან გვიპასუხა: იერუსალიმში თქვენზე უკეთ ეცადეს . . . და ვერ მომარჯულებსო, თქვენ ვი, დალოცვილებო, ერთი სიტყვით გინდათ გამაწარმთო და გამაგრებო?» სსკებამ უფრო უჩურობდა აღმარავეს. სოგ-სოგამ იხეთი რამეები სთქვა, რომ ნურც, უფრო, კაიგონებ და ნურც, თვალთ, დინარსკე.

თქვენს სიღნაღელი კორკესპონდენტები სუფუქლადიერს სიღნაღში სომხებს არალებენ და მარტო იმათ . . . ყოფა-ქცევას და ვაჭრობას მოგვიხსენებენ. მართალია აჭურვი სომხები ურიგით იქცვიან, მაგრამ სიმათლე მოითხოვს ითქვას, რომ ქართველები-ვაჭრებიც ისე . . . იქცვიან, როგორც სომხები. მართალია, ვაჭრები აქ თითქმის სულ სომხები არიან, ქართველები ცოტანი ვაჭრობენ, მაგრამ ეს ცოტანიც ვერ იქცვიან ვერც და სომხებთან ანოკუბიან სვინიდისიანი პირნი.

უფო. რედაქტორ! მისამართ ამისთანა ხალხით უნდა მორჯულებს?—რასაკვირველია, თქვენ რედაქტორი პრინციპით გასეთისა, და გასეთისა და უფრანგებს დიდს მნიშვნელობას აძლევთ. უჭრავათ ვარ, და მე იმ აზრზე ვდგავარ, რომ სიღნაღელების მოსარჯულებლათ და რიგიან გზასზე დასაყენებლათ, სსკა ღონის-ძიება უნდა იხმარებოდეს.

სსკა ქვეყნებზე რომ იყოს ღანარაკი, მე არ ვიღებდი მოსაწოდებლას ამისთვის რომ, არ მაგვარს ღანარაკი იმაზე, რაც ვარგათ არ ვიცი. მაგრამ როცა სიღნაღსად, მის ვაჭრებსად და მათ მოქცევაზე გლეხ-კაცთან ღანარაკი არის, მაშინ მე, ვითაც გამომდინარე კაცს, უნდა დამეკვირვოს სიტყვა. თუ გინდათ, რომ სიღნაღში და სიღნაღის უკსდში გლეხი-კაცი გამოისისნათ იმ მეტათ შეკვირებულად მდგომარეობადგან, რომელმაც ის არის ჩავარდნილი სიღნაღის მოკვარეებისაგან, მისთვის პირველი ღონის-ძიება ის არის, რომ გლეხი კაცის ცხოვრება ისე იყოს მოყვანილია, რომ იმას არა ჰქონდეს სსკარაკება მიამართოს სიღნაღის ფუფუნს მსესხებულთან. სსნაღის გლეხ-კაცი იქნება იმ გლეხებში, რომელმაც ესაა არის, სუფუფულებით ის მიამართავს სიღნაღის ფუფუნს მსესხებულს და სიღნაღის ფუფუნს მსესხებულს გამოართმევს იმისთანა სარგებელს, რომელსაც ჩვენში უფრულს . . . კეთისით. უნდა იყოს ამისთანა სსკაგება, რომელმაც გამართოს გლეხი-კაცი ვაჭრების დროს ცოტა სსკაგებლით. ეს სსკაგება იქნება სსოგადობანიკი. თუ ვატივტივლენი კერძო ვაჭრნი, რომელნიც სწორევენ გლეხ-კაცის საკეთესზე, თუ მართებლათ, რომელიც სუფუფულებით სწორევენ თავის ხალხს, ერთი სიტყვით ყველანი, ვისაც უნდა გლეხი-კაცი ამ ქვეყნის გაჭირვებამდ როგორმე გამოასისნას და შევლის გზასკენ მიმართოს, უნდა ექუდენ ღონისძიებას, რომ მოთხოვის დროს გლეხს

უშოვონ ფული და ცოტა სარგებელზე დასჯერადენ. რასაკვირველია, ვარგი იქნებოდა, რომ უფოლიერო სიღნაღის უფუნდის ბანიკი, რომელიც ერთის მხრით მისცემდა გლეხ-კაცს დიდს შევადს და მეორეს მხრით მოკვას იმ პირთა, ვისი ფულიც იქნებოდა შეტანილი ბანიკში. სიღნაღში და მის მახრამში ყველანი გრძნობენ, რომ ასეთ სსკარად საქმეები დიდ ხანს ვერ დარჩება: სოფლები თავის მხრით ფიჭობენ, რომ ერთმანეთს მისცენ რამე შეშწობა და წინაღუდგენ სიღნაღელებს; სიღნაღელები თავის მხრით სედევენ, რომ დროება იმათა და ისე . . . იქცვიან რომ დასაჯერებლათაც ქნელია.

სსოგადობანიკის გარდა, რომლის მნიშვნელობა გლეხ-კაცისათვის სსოგადობით დიდი რამ არის, სიღნაღის მხრის გლეხი-კაცის გაჭირვებისაგან გამოასისნათვის, რასაკვირველია, სსკა ბუგნი რამეც არის სსკარო, მაგალითად, ვარგი სსოფლო შკოლები, შურის მძღაწიები და სსკა, მაგრამ ამ უფუფუნის დროს, ჩვენნი აზრით, ყველაზე უფრო ისევე ეს ბანიკი დავსარება იმათა.

სიღნაღელი 1871 წლის 22 დეკემბერს.

### რუსეთი

ერთს ოდესის ვაზეთში სწერენ, რომ რამდენთამე იქაურ მცხოვრებთ განუზრახავთ ისეთი საზოგადოების შედგენა, რომელმაც ყველა მოსწავლევებს ხელი უნდა მოუშარათ და შეეწიოს რითაც შეიძლება: იმან უნდა დაუნიშნოს სტიპენდიები ღარიბ სტუდენტებს და გიმნაზიელებს, სწავლის ფასი აძლიოს იმათ მაგიერათ და სს. ამ საზოგადოებას თავის წესდებულების პროექტი მმართველობასთან წარუდგენია დასამტკიცებლად.

ფინლანდიის სეიმი (გრუბა) დროებით დაიხურა და 1 თებერვალს ისევ გაიხსნება და სსკა და სსკა მმართველობის წინადადებებზე დაიწყებს მოლაპარაკებას. ერთს ფინლანდიელ ვაზეთში სწერენ, რომ სხვათა შორის კრებას ჰსურს კანონად დასდგასო, რომ ფინლანდიის სასოფლო შკოლებში სწავლა ვალდებულად იყოსო, ე. ი. ყოველი გლეხი ვალდებული უნდა იყოს, რომ თავის შვილს წერაკითხვა მაინც ასწავლოსო.

«ნოვოროსიის ტელეგრაფში» სწერენ, რომ ამ ეხმად ოდესის უნივერსიტეტში ბუნებითი მეტყველების ლექციებს ჰკითხულობდნო. ამ ლექციებზე ორასი სტუდენტი დაიარება თურმე და ამ ორას კაცში ასზე მეტი ქალები არიან.

პიატიგორსკილამ «მოსკოვის უწყებებში» იწერებინან, რომ მთელი ქალაქი ეხლა დუელიებზე ლაპარაკობსო. ამ მოკლე ხანში პიატიგორსკს ორი დუელი ყოფილა; ერთი ორ აფიცრის შუა და მეორე აფიცრისა და იუნკერს შუა. პირველ დუელში კაპიტანს ვიტეს შტაბს-კაპიტანი ვესტმანი მოუკლავს და მეორე დუელი კი შვიდობით გათავებულა. სამივე პირი, რომელთაც დუელში მონაწილეობა მიუღიათ და აგრეთვე სეკუნდანტები დატუსაღებული არიან თურმე, და თვითონ ამ დუელიების თაობაზე გამოძიება არის დაწინაშული.

დეკემბრის 18-ს გაიხსნა ეკატერინოსლავში გუბერნიის ერობის სსდომები. ეკატერინოსლავის ლებერნატორმა აძროს უფრო სსკათა შორის ერობის წევრებს, რომ წელს ყველაზე მომეტებული ყურადღებით თქვენ ხალხის გადასახადის თაობაზე უნდა მოილაპარაკეთო. ამას გარდა სთხოვა, სასოფლო ბანების გამართვასაც ჯეროვანი ყურადღება მიექციეთო.

1870 წელს მთელი რუსეთილამ ხაზინას 467, 39, 726 მანეთი ჰქონდა შემოსავალი. გასაყვალე ყოფილა სულ 476, 728, 17, მანეთი.

### უცხო ქვეყნები

შარსან და შარსანწინ (ისტორიული მიმოხილვა)

იამის მიწები—ნახალეუანის ქალაქსაფრანგეთში—ზრისის გაძლიერება—იამი—საფრანგეთის დამარცხების მიწისუბი—რა რიკათ გაწობილი იყო და რა ხაირათ მოქმედებდა ნახალეუანის მმართველობა—რესპუბლიკის დაარსება—რამი მდგომარეობა მესამე რესპუბლიკის სიძახსზე—უფლებანი—გამოქცა—რომელია და «წითლები»—ბორდოს პარლამენტი—არეულობა ზარიში—გომუნა—ნისი დამარცხება—ცოცრია—ესლანდელი მდგომარეობა პარტიებისა—საფრანგეთის მომავალი.

შარსან და შარსანწინ (1870—1871) ჩვენ მოწმე დავსწარით ისეთ ისტორიულ შემთხვევებს ევროპის ცხოვრებაში, რომლებზედაც დღეს-ხანს ილაპარაკებს და ხშირათ დაფიქრება შემდეგი შთამომავლობის ისტორია. ზარამ ამ შემთხვევის ნამდვილი მნიშვნელობა, მათი აზრი და ძალა ჩვენ კარგანათლთ არ გვემის. ყოველ ისტორიულ მოვლენას ისეთივე გავლენა აქვს დამკვირვებლის თვალზე და გრძნობაზე, როგორც დიდობს მთებს აქვს მოგზაურებზე: შარსან და სანს მთელი მთა, თავისი ღრუბლიანი წვეროთ, ტყიანი გვერდებით და შარს-გაფენილი ძირით; მაგრამ რაც უფრო მიუახლოვდება კაცი ამავე მთას, მით უფრო და უფრო ნაკლებ ნაწილს მისას მოჰკრავს თვალს, ასე რომ იგიერთ მთის ძირში კაცი მთას სრულიად ცეცხლარ ჰხედავს: მის თვალის წინ ცოტადენი ამაღლებული მიწის მეტი არა სდგას რა, და ეს ცოტადენი ამაღლებული მიწა თელ მთას ჰფარავს. სწორეთ ამნაირათვე მოქმედებს კაცის გონებაზე ყოველი ისტორიული მოვლენა: რაც უფრო ახლო სდგას კაცი ამ მოვლენასთან, მით ნაკლებ შეუძლია მისი ნათლათ დანახვა და ასხნა. მისთვის აუცილობლათ საქიროა ცოტადენთ მაინც მოშორდეს ამ მოვლენას, განზე გადგეს, შემოუზროს იმას და დააკვირდეს, რომ კარგათ დანახოს ყოველი იმისი მხარე. უამისოთ ტყული დასწრება იქნება მამეცადლათ, შარსანწინდელი და შარსანდელი ისტორიული მოვლენების ნათლათ დანახვა, გავება და ასხნა.

რააკვირველია, უმთავრესი მოვლენა და საქმე ევროპის ცხოვრებაში იყო ომი საფრანგეთსა და გერმანიას შუა. ამ უბედურ და უეცარ ომს ორი უმთავრესი მიზეზი ჰქონდა: რომლის გამოკვლევა მოითხოვს ძველი ამბების მოგონებას.

უწინდელ დროში თითქმის ყოველი ისტორიული ხალხის ცხოვრება იმრიგათ იყო გამართული, რომ თითოეულ პაწაწა მხარეს თავისი საკუთარი მთავრობა და არსებობა ჰქონდა. ყოველი პაწაწა მხარის მცხოვრებლები თავ-თავისთვის ცხოვრებდენ, თავ-თავის მმართველობას ემორჩილებოდენ და თავთავის კანონებს იწესებდენ; დანარჩენი ქვეყანა მათთვის დაწმული იყო, ისე როგორც თვითონ ისინი დაწმული იყენენ დანარჩენი ქვეყნისათვის თითოეული მხარე შემოზღუდული იყო განუღლები სამზღვრით, რომელიც სპობდა ყოველ მისვლა-მოსვლას და აღებ-მიცემას. ამ რიგათ გაცალ-ცალკავებულ მხარეებს შუა იყო ნიადაგი და დაუცხრომელი ბრძოლა: ხან ქრთი მხარეს მცხოვრებლები ესეოდენ თავზე მეორე მხარეს მცხოვრებლებს, ხან მეორეკი—პირველისას, და იყო ერთი უმეტეული ადამიანის და მისი კირნახულის ქლტა და წყევტა. შემდეგში გარემოება

ცოტ-ცოტათი შეიცვალა იმ რიგათ, რომ სხვა და სხვა მიზეზების და შემთხვევების გამო სხვა ერთი მხარეები შეერთდენ, ერთმანეთში ემზობა, ბრძოლა და გაცალ-ცალკეება მოსპეს და დაარსეს ერთი დიდი საერთო სახელმწიფო. თუმცა ამისთანა სახელმწიფოების მაგალითს ძველი დროებაც წარმოადგენდა, და თუმცა შემდეგშიაც მოხდებოდა ხოლმე ძლიერი და საერთო სახელმწიფოების დაარსება, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ სახელმწიფოებისა ნამდვილათ შეერთებულნი არ იყო: მათში ერთი ხელმწიფე კი იყო, მაგრამ თითოეული მხარე უწინდელივით თავის საკუთარ ჩვეულებებს, წესს და კანონებს, თავის კერძო უფროსს ემონებოდა, და მისი ეკონომიური ცხოვრება სრულიად განსახლრული და გამოზარებული იყო სახელმწიფოს დანარჩენი ნაწილების ცხოვრებისაგან.

ამისთანა გაცალ-ცალკეება და შემოზღუდვა მეტის-მეტათ აწუხებდა მთელ ქვეყანას, და როცა წარსულ საუკუნეში საფრანგეთმა პირველათ გამოაჩინა მშვენიერი მაგალითი ნამდვილი და სამართლიანი შეერთებისა, როცა მთელ საფრანგეთისთვის დაწესდა ერთი კანონი, ერთი მმართველობა, ერთი წესი და სამზღვარი, მაშინ მთელი ქვეყნისთვის აშკარათ გამოჩნდა ერთობის და შეერთების სიკეთე და სარგებლობა. ნამდვილათ და ბეჯითათ შეერთებულმა ფრანკებმა იმოდენა ხიერი და დიდება ნახეს თავიანთი ქვეყნის და ხალხის ერთობაში, იმოდენა ძალა და სიმდიდრე შეიძინეს წერილობანი სამთავროების და სამზღვრების მოსპობაში და საერთო სახელმწიფოს დაარსებაში, რომ ამ საუკუნოს დამდევდგანე ქვეყნის ცხოვრებაში აღიძრა ერთი ახალი ძალა:—სხვა და სხვა მხარეების მცხოვრებლების ლტოლვა ერთმანეთთან შესაერთებლათ და ერთი საერთო სახელმწიფოს დასაფუძნებლათ. რადგანც, საზოგადოთ, ამ ნაირი შეერთება უფრო ხშირათ ხდებოდა ერთი და იმავე ტომის ხალხებს შუა, ამ ახალ ძალას მიეცა სახელათ—ნაციონალური ლტოლვალება. ეს ძალა და ლტოლვილება პირველათ აღმოჩნდა მასაქეთია, რაც საფრანგეთის რევოლიუციამ ძველი წესის და მმართვეის მაგიერ დაარსა ახალი სახელმწიფო წყობილება და ახალი სამოქალაქო სიმართლე, დაფუძნებული—კანონით მაინც—ყველას თანასწორობაზე კანონისა და სახელმწიფოს წინაშე.

უეტველია, რომ რაც ერთ ქვეყანაში სახიერო გამოდგა, ის სხვა მეზობელ ქვეყნებშიაც აღძრავდა მიბაძვისა და გარდაღების სურვილს. მართლაც, საფრანგეთის მეზობლებიდან იტალიამ მოინდომა და შინჯა ერთობის დაფუძნება, და ეს შინჯვა კიდევ გამოადგა, ამიტომ რომ იტალიის ერთობა დღეს დაფუძნებულია. გერმანიასაც, რასაკვირველია, არ შეეძლო ყრუთ და ბრმათ დარჩენილიყო, როცა მის ირგვლივ ერთობა თან და თან ახალ-ახალ მომხრეებს და დამარცხებულს მოულობდა და მალე გერმანიამაც, რომელიც ათას ნაირათ დაკუწული და დაცალ-ცალკეებული იყო წერილობანი მთავრებს შუა, აღიძრა შეერთებისა და საერთო სახელმწიფოს დაფუძნების სურვილი—

სანამ გერმანიამ და სხვა ქვეყნებში საფრანგეთის მაგალითი უფრო და უფრო მეტ მიმბაძავს პოულობდა, თვითონ საფრანგეთის ცხოვრება თან და თან წინ მილიოდა და ახალ-ახალ წესს სინჯავდა და აარსებდა. რასაკვირველია, რომ ყოველი ცულობება და გაუკეთებება ხალხის ცხოვრებაში დიდ მოძრაობას და ბრძოლას სტებს, რომელშიაც სხვა და სხვა ნაირი აზრები და პარტიები ერთმანეთს ეცილებიან, და გამარჯვებული პარტია და მიმართულება თავის აზრის დაგვართ მართავს და აწყობს საქმეებს. როგორც ყოველ



ცოცხალ და მოძრავ ქვეყანაში, საფრანგეთშიც ასარკვევად გამოვიდა ორი უმთავრესი პარტი. იმათგან ერთი თვალ-დასუქულათ და ყურ-დასუქულათ იცავდა და ინახავდა ყველაფერს, რაც კი დეტრეკებისა შამაპასურ ცხოვრებას, და სწავლას; ყოველი ცვლილება ამ ცხოვრებაში და ყოველი განახლება ამ სწავლისა ამ პარტიას მომაკვინებელ ცოდვით და საკუთარ დაღუპვით მიჰქნდა. ამ პარტიას განსაკუთრებით ისეთი პირები შეადგენდნენ, რომელნიც სხვა და სხვა უპირატესობის ძალით დიდ სარგებლობას პოულობდნენ დაწესებულ ცხოვრებაში: მდიდარი მებატონებნი, შემძლე ვაჭრები და კარის-კაცები, რომელნიც თავის თავს ძლიერ კარგ მდგომარეობაში გრძობდნენ, და ამისგან ფიქრობდნენ, რომ ეს მდგომარეობა ყველასთვისაც ჩინებულიაო. მეორე პარტიას უფრო «დაჩაგრულნი» შეადგენდნენ, რომელნიც გაქირვებით და ოფლის წურვით შოულობდნენ საჩენ საშუალებას და იმ აზრს ვერ ითვისებდნენ, რომ სამართლიანია ისეთი წესი, რომელშიაც ყველაზე უფრო ნაკლები სიამოვნება და სარგებლობა რგებია იმას, ვინც ყველაზე მომეტებულს შრომობს და თითქმის ყოველნაირი სიამოვნება, დატკობა და ხალისი მარტო იმათ მიენიჭებათ, ვინც სრულებით უსაქმოთ, უშრომით და უსარგებლოთ სცხოვრებს დედა მიწაზე. — ამ პარტიის პირები ცდილობდნენ სრულიად შეეცვალათ საფრანგეთის ცხოვრების წყობილება, და ისეთი წესი დაეარსებიათ საფრანგეთის სამოქალაქო და სახელმწიფო ცხოვრებაში, რომ თვითოველ წევრს მის ნიჭისა და შრომის შესაფერის მდგომარეობა და სარგებლობა რგებოდა, და ყოველ კაცს სრული საშუალება ჰქონდა ხეივანათ შეემუშაებინა თავისი ბუნებითი ნიჭი და გონება. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ ორს პარტიებს შუა შეუძლებელი იყო მორიგება, და მათი ბრძოლა მეტის-მეტათ გაფიცვებულნი უნდა ყოფილიყო. საფრანგეთის მმართვეა და მისი ცხოვრების გაწყობა ამ ორ პარტიებში იმას ხედებოდა წილათ, რომელიც მეორეს სრულიათ მოერეოდა და დასცემდა.

როცა ამ ორ პარტიას შუა გაქცარებულნი და სისხლის მღერელი ბრძოლა და ომი იყო, როცა ორივე პარტიები დაქანცულები ერთმანეთს აკედებოდნენ, და მთელ საფრანგეთს დაღვინდნენ, ამოჰყო თავი ერთმა ახალმა მიმართულებამ, რომელმაც მოინდომა ესარგებლებინა ამ ორი ძლიერი პარტიების დაღვინით, და ჩაეგდო ხელში საფრანგეთი, რომლის გულისათვის ორ მებრძოლ პარტიებს ერთმანეთს ხელები და ძალი გაკავებულნი ჰქონდათ. როგორც ზღაპარში მელა სარგებლობს ლომისა და ვეფხვის ბრძოლით, და იტაცებს იმ ირემს, რომლის გულისთვის ეს მხეცები ერთმანეთს აკედებდნენ, ისე საფრანგეთში ამ მიმართულებამ მოინდომა საფრანგეთით სარგებლობა და მართლაც ხელში ჩაიგდო ამ ძვირფასი ქვეყნის მმართვეა. ამ მიმართულებას მოთავეთ ჰყავდა ბონაპარტების მოდგმა. ნაპოლეონების მოქმედება ნიადგ და ყოველთვის იმისთანა იყო, როგორც შემოანახლებნი ზღაპრის მელისა. ისინი სარგებლობდნენ იმით, რომ მოწინავე და ძველ-მოყვარე პარტიები დაღვინით სულს ძლიერს იბრუნებდნენ და ამ პარტიების უკეთესი პირები მკვდრათ ეყარნენ ბრძოლის ველზე. ამ დაღვინით გამხვევებული, ნაპოლეონის მოდგმა სწყევტდა ბრძოლას, ამხედებდა არემარეს, ჰკლავდა ყოველ ცხოველ სიტყვას და შიშობდას; არწმუნებდა ბრძოლით დაღვინულ ხალხს, რომ თუ მე არ ვიქნები, ხვალვე

ხელმოვრეთ უწინდელი ბრძოლა ატყდებოდა, და ამასობაში იძენდა მომხრეებს ფულებისა შემოსავლიანი ადგილების დარიგებით, შორთამ-ვით, მოსყიდვით, და — სადაცესენი არ გაყვილოდა — დევნით, დატუსაღებით და სახელწიფოდგან გივდებით მტერებს მაინც იცილებდა. რადგანაც ნაპოლეონების მიმართულება დამყარებული იყო ამნაირ მოქმედებაზე იმას ყოველთვის საქმეში ამნაირვე . . . . . ყოფაქცევა უნდა გამოეჩინა. თუმც, მართალია, დაღვინული ხალხი ხშირათ ამ მიმართულების მადლიერი იყო, რადგანც ის ცხოვროდნენ «მშვიდობიანობას» აწესებდა, მაგრამ იმ ხალხს მაინც ესმოდა, რომ მშვიდობიანობა ბევრი არაფერია ცხოველი ხალხისთვის. ამისთვის ნაპოლეონის მიმართულება სძრავდა ხალხში სამხედრო დიდების გრძობას, და ცდილობდა ეს გრძობა როგორმე დაემყარებინა გარეგანი გამარჯვებით, რომ ამ გამარჯვებას ნაპოლეონის მოდგმისთვის წეძინა ხალხის სიყვარული და ჯარის ერთგულება, რომელიც ნაპოლეონებს მეტის-მეტათ სჭირდათ თვითონ საფრანგეთის ხალხი დასამორჩილებლათ და მოსალაგებლათ. და ეოველთვის, როცა საფრანგეთის შინაგან საქმეები სძრავდნენ საფრანგეთის ხალხში უკმაყოფილებას ნაპოლეონის მოდგმაზე, ეს მოდგმა ცდილობდა რამე გარეგანი ომი აეტეხა, რომ ზარბაზნების გრიალით შინაგანი უსიამოვნების ჩურჩული მოესპო. . . . . ამ ნიშნით მოქმედებდა როგორც პირველი, აგრეთვე მესამე ნაპოლეონი.

ამ უკანასკნელ დროში, საფრანგეთს შინაგანი მდგომარეობა, ნაპოლეონ მესამის მიხედვით, ძლიერ მძიმეთ შეიძრა, იმის გამო, რომ ნაპოლეონის ტვირთი შიგნით საფრანგეთში ძლიერ გაუძნელდა ფრანკულს, და თავისუფლების შემცირების ატანა იმთველარ შეიძლეს, უფრო მეტათ კი იმიტომ, რომ გარეგან საქმეებში ნაპოლეონის მმართვეა ორსამ ალაგს ძლიერ დამარცხდა. მექსიკაში, მაგალითად, მისგან დაფუძნებული იმპერია დაეცა, და მისგან დაყენებული იმპერატორი მაქსიმელიანი დახვრიტეს. ევროპაში, პრუსიის საქმეებში ნაპოლეონს სრულიად არ გაუფიქრა, აგრეთვე როგორც დანის და ზოგიერთ სხვა საქმეებში. პრუსიის ამარჯვებამ აესტრიაზე, სამოკლა ექვსში მეტის მეტათ გამოაშკარა ნაპოლეონის პოლიტიკის შორ-გაუმჭერტელობა, და შინაგან საქმეებში, ხომ დღე ერთი იყო, და დამარცხება და . . . . . ათასი. ამის გამო ნაპოლეონის ტანტი და ძლიერება თეთ საფრანგეთში შეიძრა, მით უფრო, რომ რცდა ორი წლის მოსვენებამ ხელახლავ ყუთზე და ჯანზე მოიყვანა ის პარტიები, რომლის ბრძოლამ და დაღვინამ საფრანგეთის ასარკეზი დაანება ნაპოლეონს და მის მომხრეებს. და რაკი ეს პარტიები ჯანზე მოვიდნენ და ახალ საბრძოლველათ დაემზადნენ, ნაპოლეონის როლი გათავებული უნდა ყოფილიყო. (გაგნე ჯუას შემდეგ № ში).

ბ. ს.

დეკემბრის დამლევს პარიჟში და ზოგიერთ საფრანგეთის დეპარტამენტებში დამატებითი კენჭის ყრა იყო; უნდა ამოეჩინათ 17 დეპუტატი და გავგზავნათ ნაციონალურ კრებაში იმ დეპუტატების ნაცვლად, რომელნიც ამ უკანასკნელ დროს მოკვდნენ ან სხვა რამე მიზეზის გამო გამოვიდნენ ნაციონალური კრებიდან. წინათაც ვთქვით, რომ ამ კენჭის ყრას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საფრანგეთისათვის, რადგან იმაზე იყო დამოკიდებული ერთის ან მეორის პარტიის გალი-

ერება; — და მართლაც ძალიან გულ-მხურვალეთ შეუდგნენ სხვა და სხვა პარტიები თავის მომხრე დეპუტატების ამარჩევას: გამბეტამ თითქმის ყველა ქალაქები დაიარა, სადაც კენჭის ყრა უნდა ყოფილიყო, და ურჩევდა ხალხს, ნამდვილი რესპუბლიკელები ამოირჩიეთო. მონარხის მომხრე პარტია და გავრცელები ცივილიზაციის ამარჩევას ურჩევდნენ და მმართველობის მომხრე კიდევ თავისა. ეხლა ჩვენ ვიცით — რით ვათავდა ეს კენჭის ყრა: უკანასკნელ დღეებში მოსული განთქმებიდან სჩანს, რომ იმ 17 დეპუტატადამ, რომელიც დამატებით კენჭის ყრას უნდა აერჩია, 8 კაცი ზომიერი რესპუბლიკური პარტიის აურჩევით, 4 რადიკალური რესპუბლიკელი, 4 კონსერვატორი და ერთი ბონაპარტის შთამომავლობის მომხრე, ამობგნენ, თვითონ რესპუბლიკელებს რომ არ გაეფუტებიათ თვითონ საქმე და ერთად, თანხმობით ემოქმედნათ, მაშინ იმათ მომხრეს კიდევ უფრო მომეტებულს აირჩევდნენ დეპუტატებათაო.

მაგრამ ეს დამატებითი კენჭის ყრა ისე არ აღიღებდა ახლა ხალხსა და პარტიებს, როგორც სახალხო განათლების მინისტრის, ჟულსიმონის პროექტი. ამ პროექტის ძალით, თუ ახსავს მკითხველს, საფრანგეთში უნდა შემოიღონ ისეთი წესი, რომ ყოველი დედამა ვალდებული იყოს თავის შვილებს (გაჟს თუ ქაჟს) წერა-კითხვა მაინც ასწავლოს. ამას გარდა ამ ახალი პროექტის ძალით, სახალხო შკოლების უმეტესი ნაწილის გამოგობა საერო მასწავლებლების ხელში უნდა იქნეს. სამღვდელთა კი, რომლის ხელშიც თითქმის მთელი საფრანგეთის სახალხო შკოლები იყო დღემდე, ჩამოერთმევა ამ შკოლების ხელმძღვანელობა და ხალხის განათლებზე გავლენა. ამნაირი პროექტი, რასაც ვერცხვით, არ მოეწონებოდათ საზოგადოთ კონსერვატორებს (მონარხისტებს) და განსაკუთრებით საფრანგეთის კლერიკალებს, რომელნიც მონარხიელებს თანამემცხედრნი არიან. საშინელი ყვირილი, ბაასი და ერთი-ამბავი იყო ნაციონალურ კრებაში, როდესაც ჟულსიმონმა შეიტანა იქ ეს პროექტი დასამტკიცებლად. ეპისკოპოსი დიუპონლოუ და სხვა კლერიკალები ეუბნებოდნენ თურმე განათლების მინისტრს, რომ თქვენს მომავალ შკოლებში ყველანი ღმერთის უარის-ყოფენნი და რევიოლიუციონერები გამოიხდებიანო. ერთმა კლერიკალმა თვითონ ჟულსიმონს შესწამა უღმერთობა; მეორემ სთქვა, რომ ყველანი, ვინც პარიჟის კომუნაში მონაწილეობა მიიღო, განათლებულნი იყვნენო. (ესადაა აქედამ იმას გამოჟუგადა, რომ სთერასკოის სახლსა-თეს განათლებს მაქსიუელი ან ჯოსო. . . .) «აი როგორა სჯარა ჩვენი კანონმდებელია! ამბობს, ამ სიტყვების მოყვანის შემდეგ, ერთი ფრანკულული გაზეთი: «ყოველი ფრანკული უნდა წითლებოდეს, როდესაც იმ უტირლობას მოიგონებს, რომელიც ამ პროექტზე სჯის დროს გამოიჩინეს საფრანგეთის წარმომადგენლებმა! ამათ ეძახიან ხალხის წარმომადგენლებს, საფრანგეთის საუკეთესო შვილებს?! აა, საფრანგეთის პარტიცემა მოითხოვს, რომ ჩვენ ესთქვათ, რომ ეს განათლების მოწინააღმდეგე პირები არ არიან ხალხის წარმომადგენლები. ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები ღმერთალური რჩევების წევრები არიან, რომელთაც დიდი ხანია გამოთქვენს თათის თათიერი და განათლებული ჰაზრი ამ საქმის თაობაზე. რაც შეეება ახლანდელი ნაციონალური კრების უმეტეს წევრებს, ჩვენ ურჩევთ იმათ, თავი დაანებონ დეპუტატობას და ახალს, ნამდვილს ხალხის წარმომადგენლებს, დაუთმონ თავიანთი ალაგი! მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ახლანდელი ჩვენი მმართველობა და კრება ბევრ სიტყვს და ცდილობას გვპირდება, მაგრამ ამოდენი ხანია ჯერ იმას არაფერი არ გაუკეთებია. ყველაფერი: განათლება გინდა, მეურნეობა, ვაჭრობა და წარმოება, შკოლები, სასამართლოები და სხვა ყველაფერი იმავე მდგომარეობაშია, როგორც ნაპოლეონმა დატოვა.»

ამ პროექტის გასარჩევათ ნაციონალური კრებას ცალკე კამისია ამოურჩევია 15 პირისაგან. ამ კამისიაში, ორს გარდა, თითქმის ყველა კლერიკალები (პროექტის მოწინააღმდეგენი) არიან თურმე. აქედამ შეგვიძლია დარწმუნებით ესთქვათ, რომ თუ მმართველობამ ძალიან არ მოინდომა ამ პროექტის დამტკიცება, საფრანგეთის სახალხო განათლების საქმე ისევ სამღვდელთა ხელში დარჩება. ამნაირათ იმას მოაქვდება ერთი ისეთი საშუალება, რომლის წყალობით ასე ალყავდნენ და გაძლიერდნენ ამერიკის შვერთებული

შტატები, შევიცარია, რეგისტრირება, და სხვ. სახელმწიფოები.

— იანერის 9-ს გრაფ არნიმს წარუდგენია ვერსალში ტვირისთვის თავის რწმუნებით ქალაქები და ამ დღიდან მოკიდებული ის გერმანიის ელჩათ ინიშნება საფრანგეთში. ამის თაობაზე ერთს ნემცურს გაზეთში სწერენ, იმედი გვაქვს, რომ დღის შემდეგ ჩვენსა და საფრანგეთს შუა ისევ ძველებური კეთილი განწყობილება და მეგობრობა დამკვიდრდებაო. ეს სრულიად უსაფუძვლო იმედია: საფრანგეთის ხალხი ისეთი ხალხი არ არის, რომელიც ადვილათ მოუტევებს მტერს თავის აზრებასა და დამკვირებას. . . . .

— როცა ცხრა რესპუბლიკელმა დეპუტატმა შეიტანა იანერის 4-ს ნაციონალურ კრებაში წინადადება, რომლის ძალითაც საფრანგეთში სიკვდილთ დასჯა, ყოველ გვარადამნაშავეობისათვის, მოსკობილი უნდა იყოს. — ნაციონალურმა კრებამ კანონათ დასაღვა, რომ კრების დეპუტატს ერთსა და იმავე დროს დეპუტატობაც და სხვა თანამდებობის აღება არ შეუძლიაო; შეიძლება მხოლოთ, რომ დეპუტატი მინისტრათ დაინიშნოს და ელჩათ გაიგზავნოს სადმე.

გ ა გ რ ა ა

გალიციელი კორრესპონდენტი ერთი ვენის გაზეთისთვის შემდეგ ამბებს იწერება ამ გაზეთში: «1872 წელს შესრულდება ასი წელიწადი მას აქეთ, რაც პირველთა გიყუა პოლშია. ამისათვის პირველათ პოლშელებს უნდა დაუდონ, რომ ეს ჩვენი ქვეყნის უმედურება (განაწილება) ყველამ უნდა ვიგლოვოთო, ყველა პოლშელებმა შევები უნდა ჩავეცვათო. მაგრამ შემდეგში ეს განზრახვა მიატოვენს და ახლა უფრო გონიერი საქმის მონაწილეობის სახსოვრათ: გალიციის პოლშელებმა გადაწყვიტეს, რომ ამ წლის სამახსოვროთ სახალხო შკოლებისათვის ფულები მოეკრიბოთო. მისცემს თუ არა მმართველობა ნენბას, იმწამდე აპირებენ ფულების მოკრების დაწყებას და ამ ფულებით ღარიბ შკოლებს ხელს მოუშარავენო.»

გ ე რ მ ა ნ ა ა

იმას გარდა, რაც უკანასკნელ ომინანობის დროს ნემცები და ფრანკულსები დაიხოცნენ, ამბობენ, ძალიან ბევრი საღდათები და აფიკრები უგზო უკლოთ დაიკარგაო. ამის თაობაზე ბერლინის დეპუტატების პალატაში ერთმა დეპუტატმა ჰკითხა პრუსიის სამხედრო მინისტრს: — მართალია ეს ამბავი თუ არაო, და თუ მართალია, ჩვენი მხრით რამდენი კაცი არის დაკარგულიო? სამხედრო მინისტრმა, ჭონ რომანმა, ამ საგნის თაობაზე სთქვა, რომ პირველში 1400 კაცამდე გვევონა დაკარგულიო, მაგრამ ბოლოს, როდესაც კარგათ გამოვიკვილოთ და ვიანგარიშეთ, აღმოჩნდა, რომ 3241 კაცი გვაკლიაო, რომელიც არ ვიცით — სად დაიკარგნენო. ამას გარდა ასიოდ კაცამდე ამჟამად საფრანგეთის ლაზარებებში სწვანან და, სანამ არ მორჩებიან, მანამ ჩვენში ვერ დაბრუნდებიანო. მე ნუგვშს ვერ მივცემ იმ დღეებს, ცოლებსა და შვილებსო, სთქვა ჭონ რომანმა, რომელთაც ქმარი, მამა, ან შვილები დაეკარგათ და ვერ ვიტყვი — დაბრუნდებიან ეს დაკარგულები როდესმე თავიანთ ქვეყანაში, თუ არა.

ნარკვი

1852 წელს მოკვდა ლახნდონში ერთი მდიდარი, რომელმაც რამდენიმე ათი ათასი მსკეთი შესწირა ლახნდონის უნივერსიტეტს, რომელსაც მანდარო — ეს ფულები როგორც ვინდა, ისე მოიხსნარო. ამ წლას დამდეგს უნივერსიტეტს ამ ფულებით გამართა ლახნდონის სახლოაქს ჰი ო რ უ ტ ე კ ე ბ ი ს ს ა ვ ა დ მ ყ ა ფ ე რ, სადაც ყოველსაირი მახარო პირუტყვი და ფრინველები უნდა მიიყვანოს მოსარჩუნად. გუბრთსუელ იყოს, დიქრთო, განხუგა შენი: სხვა ქვეყნებში კაცებისთვის ან აზის სჯავთმყოფელები და სხვებისმა ვა პირუტყვისთვისაც ვა მართავენ. . . . .

შამაღის შვიდი — ჰასნი-მაქედ ვენდი — ხელმწიფე ამჟამატორის სუბაროვით ვიკვლამ ოსმალეთში წასულა და იქ იცხოვრებს. ხელმწიფეს დაუწინავეს ამისთვის 5,000 მან. ჰუნხას და იმის შეიღებებისთვის 1,000 მან.